ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N03

2023 წლის 31 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებლური ეკლესიისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 დეკემბრის №114-11422363129 მომართვის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. ზოიძე) თანხმობა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებლური ეკლესიას გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, კაიკაციშვილის ქუჩაზე მდებარე 330.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.10.278), შემდგომში მართმადიდებლური ტაძრის მშენებლობის მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი